პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

ხუთშაბათი
12
დეკემბერი
1935 წ.
№ 21 (57)

მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ სცნობს ფეტიშებს, მას არ ეშინია აღმართოს ხელი დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ, და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას.

ი. სტალინი

ამხ. სტალინის სიტყვა მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირზე

1935 წლის პირველ დეკემბერს

ამხანაგებო! ნება მომეცით უწინარეს ყოვლისა მოგესალმოთ იმ მიღწევების გამო, რომელიც მოიპოვეთ მოსავლის აღების ფრონტზე. თქვენი მიღწევები მცირე როდია. თუ ჩვენში მთელს საბჭოთა კავშირში საშუალოდ კომბაინის გამომუშავება ერთ წელს ერთიორად გადიდდა, ეს მცირე მიღწევა არ არის. ეს მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც ტექნიკურად ნაწრთობი ადამიანები ჯერ ისევ ცოტანი გვყავნან.

ჩვენს ქვეყანას ყოველთვის ახასიათებდა ტექნიკურად ნაწრთობი კადრების ნაკლებობა, მეტადრე მიწათმოქმედების დარგში. კადრების ტექნიკური მომზადება მთელი ქვეყნის ფარგლებში—ეს ძალიან დიდი საქმეა. იგი ათეულ წლებს მოითხოვს და თუ ჩვენ შედარებით მოკლე ვადებში მივაღწიეთ იმას, რომ გუშინდელი გლეხის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისაგან შევქმენით საუცხოო კომბაინერები და კომბაინერი ქალები, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების ნორმებს აჭარბებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ტექნიკური კადრების გამოზრდის საქმე ბუმბერაზული ნაბიჯებით მიდის წინ. დიახ, ამხანაგებო, თქვენი წარმატებანი თვალსაჩინო და სერიოზულია, და თქვენ სავსებით იმსახურებთ იმას, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მოგესალმონ (ტაში).

ახლა კი ნება მომეცით საქმის დედაარსზე გადავიდე.

ჩვენში ხშირად ამბობენ მარცვლეულის პრობლემა უკვე გადავწყვიტეთო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. თუ მხედველობაში გვაქვს ახლანდელი პერიოდი. წელს ხუთნახევარ მილიარდ ფუთზე მეტ მარცვლეულს ვაგროვებთ. ეს სავსებით სამყოფია, რომ მოსახლეობა უხვად გამოვკვებოთ და კიდევ გადავდოთ საკმაო მარაგი, რომელიც აუცილებელია ყოველგვარი გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის. ეს რა თქმა უნდა, დღევანდელი დღისათვის ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ მარტო დღევანდელ დღეს ვერ დავჯერდებით. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ ხვალინდელ დღეზეც. უახლოეს მომავალზე. ხოლო თუ საქმეს ხვალინდელი დღის თვალსაზრისით შევხედავთ, მიღწეული შედეგები ვერ დაგვაკმაყოფილებს. რამდენი მარცვლეული დაგვჭირდება ჩვენ უახლოეს მომავალში, ვთქვათ, სამი-ოთხი წლის შემდეგ? ჩვენ დაგვჭირდება სულ ცოტა შვიდი-რვა მილიარდი ფუთი მარცვლეული. აი როგორ არის საქმე ამხანაგებო. მაშასადამე, ჩვენ ახლავე უნდა მივიღოთ ზომები, რომ პურის მოყვანა ჩვენში წლითი-წლობით მატულობდეს და რომ ამ ვადისათვის ჩვენ სავსებით მომზადებული გამოვდგეთ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად. ძველ დროს, რევოლუციამდე, ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით ოთხი-ხუთი მილიარდი ფუთი პური მოყავდათ წელიწადში. სამყოფი იყო თუ არა ეს პური—ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ყველას ეგონა, რომ სამყოფი იყო რადგან ყოველ წელს საზღვარგარეთ დაახლოებით ოთხას-ხუთასი მილიონი ფუთი მარცვლეული გაქონდათ. ასე იყო საქმე წარსულში. სხვანაირად არის საქმე ახლა, ჩვენს საბჭოთა პირობებში. მე უკვე ვთქვი, რომ ახლავე უნდა ვემზადოთ იმისათვის, რათა უახლოეს მომავალში, სამი-ოთხი წლის შემდეგ, პურის ყოველწლიური მოსავალი შვიდ-რვა მილიარდ ფუთამდე ავიყვანოთ. განსხვავება, როგორც ხედავთ მცირე არ არის. სად ოთხი თუ ხუთი მილიარდი ფუთი და სად შვიდი-რვა მილიარდი ფუთი მარცვლეული!

საიდან გაჩნდა ასეთი განსხვავება? რით აიხსნება მარცვლეულის მოთხოვნილების ასეთი კოლოსალური ზრდა ჩვენს ქვეყანაში?

ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყანა აღარ არის ის, რაც იყო ძველ რევოლუციამდელ დროში.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ჩვენში უკანასკნელ წლებში მრეწველობა და ქალაქები ძველ დროსთან შედარებით, სულ მცირე, ერთი-ორად გაიზარდნენ. ამჟამად ჩვენში ქალაქები, ქალაქთა მცხოვრებლები, მრეწველობა და მრეწველობაში დაბანდებული მუშები, სულ მცირე, ერთიორად მეტია ვიდრე ძველ დროს იყო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რამდენიმე მილიონი მშრომელი სოფელს მოვაცილეთ, ქალაქებში გადავიყვანეთ, მუშებად და მოსამსახურეებად გავხადეთ და ისინი ახლა დანარჩენ მუშებთან ერთად წინ ეწევიან ჩვენს მრეწველობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წინათ სოფელთან დაკავშირებულ რამდენიმე მილიონ მშრომელს პური მოყავდა, ახლა მათ არა თუ, არ მოყავთ პური, არამედ პირიქით, თვითონ საჭიროებენ, რომ მათთვის სოფლიდან პური მოიტანონ, ხოლო ქალაქები ჩვენში გაიზრდება და პურის მოთხოვნილებაც იმატებს.

ეს არის მარცვლეულის მოთხოვნილების ზრდის პირველი მიზეზი.

შემდეგ, ძველ დროს ჩვენში ტექნიკური კულტურები ნაკლები იყო, ვიდრე დღეს არის. ჩვენ ახლა მოგვყავს ერთი-ორად მეტი ბამბა, ვიდრე ძველ დროს იყო. რაც შეეხება სელს, ჭარხალსა და სხვა ტექნიკურ კულტურებს. ისინი ჩვენ გაცილებით უფრო მეტი მოგვყავს, ვიდრე ძველ დროს მოყავდათ. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ იმ ადამიანებს, რომელნიც ტექნიკურ კულტურებს მისდევენ, არ შეუძლიათ საკმაოდ მისდიონ პურის მოყვანას. მაშასადამე, უნდა გვქონდეს მარცვლეულის დიდი მარაგი იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ტექნიკური კულტურები მოყავთ, რათა შესაძლებლობა გვქონდეს უფრო-და-უფრო გავადიდოთ ტექნიკურ კულტურათა წარმოება, ბამბის, სელის, ჭარხლის, მზესუმზირას და სხვათა წარმოება.

ჩვენ დაგვჭირდება ტექნიკურ კულტურათა წარმოების უფრო-და-უფრო გადიდება, თუ გვინდა წინ წავწიოთ ჩვენი მსუბუქი მრეწველობა და ჩვენი კვების მრეწველობა.

აი მარცვლეულის მოთხოვნილების ზრდის მეორე მიზეზი.

შემდეგ, მე უკვე ვთქვი, რომ ძველად ჩვენში ოთხი-ხუთი მილიარდი ფუთი მარცვლეული მოყავდათ წელიწადში. მეფის მინისტრები მაშინ ჩვეულებრივ ამბობდნენ: „თვითონ მოვიკლებთ ჭამას, პურს კი გავზიდავთ." რა ხალხი იყო ეს, რომელიც საკმაოდ ვერ სჭამდა? რა თქმა უნდა არა მეფის მინისტრები, ნაკლებად მჭამელი ხალხი—ეს იყო სოფლის ოცი-ოცდაათი მილიონი ღარიბი ხალხი, რომელიც მართლაც ცოტას ჭამდა და ნახევრად მშიერი ცხოვრობდა, რათა მეფის მინისტრებს საშუალება ქონოდათ პური საზღვარგარეთ გაეტანათ. ასე იყო ძველად. ახლა ჩვენში სულ სხვა დროებაა. საბჭოთა მთავრობა ვერ შეიწყნარებს, რომ მოსახლეობას საჭმელი აკლდეს. აი უკვე ორი-სამი წელიწადია, რაც ღარიბი ხალხი ჩვენში აღარ არის. უმუშევრობა მოისპო, ჭამის სიმცირე გაქრა და ჩვენ მტკიცედ დავადექით შეძლებულობის გზას, თქვენ იკითხავთ—რა იქნა ოცი-ოცდაათი მილიონი დამშეული ღარიბი ხალხი? ისინი კოლმეურნეობებში გადავიდნენ, იქ დამკვიდრდნენ და წარმატებით აშენებენ თავის შეძლებულ ცხოვრებას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა მშრომელ გლეხთა გამოსაკვებად გაცილებით მეტი პური გვჭირდება, ვიდრე ძველ დროს იყო საჭირო, ვინაიდან გუშინდელ ღარიბებს, ხოლო ახლანდელ კოლმეურნეებს, რომელნიც კოლმეურნეობებში დამკვიდრნენ, საკმაო პური უნდა ჰქონდეთ, რომ თავისი შეძლებული ცხოვრება აშენონ. თქვენ იცით, რომ მათ პური აქვთ და უფრო მეტიც ექნებათ.

ასეთია ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის მოთხოვნილების კოლოსალური ზრდის მესამე მიზეზი.

შემდეგ, ჩვენში ახლა ყველანი ამბობენ—მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, ცხოვრება გაუკეთესდა, უფრო საამური გახდაო. ეს რა თქმა უნდა მართალია, მაგრამ ამას ის მოსდევს, რომ მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე ძველად მრავლდებოდა. სიკვდილიანობამ იკლო, დაბადებულთა რიცხვმა იმატა და მოსახლეობის წმინდა მატება გაცილებით უფრო დიდი გამოდის. ეს რა თქმა უნდა კარგია და ჩვენ ამას მივესალმებით (მხიარული მოძრაობა დარბაზში).

ამჟამად ჩვენში მოსახლეობის წმინდა მატება ყოველ წელს დაახლოებით სამ მილიონ სულს უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს ჩვენ მთელი ფინეთის მოსახლეობის ოდენა ხალხი გვემატება. (საერთო სიცილი).

ამას კი ის მოსდევს, რომ უფრო-და-უფრო მეტი ხალხი უნდა გამოვკვებოთ.

აი პურის მოთხოვნილების ზრდის კიდევ ერთი მიზეზი.

დასასრულ კიდევ ერთი მიზეზი. მე ვილაპარაკე ადამიანებზე და მათი მხრივ პურის მოთხოვნილების ზრდაზე. მაგრამ ხალხის კვება მარტო პურით არ განისაზღვრება, მას კიდევ ესაჭიროება ხორცი, ცხიმები. ქალაქების ზრდა, ტექნიკურ კულტურათა ზრდა, მოსახლეობის საერთო ზრდა, შეძლებული ცხოვრება,—ყველაფერი ეს იწვევს ხორცის, ცხიმების მოთხოვნილების ზრდას. მაშასადამე აუცილებლად უნდა გვქონდეს კარგად დაყენებული მეცხოველეობა, წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის დიდი რაოდენობით, რათა საშუალება გვქონდეს დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ხორცის პროდუქტებზე. ყველაფერი ეს ნათელია, მაგრამ მეცხოველეობის ზრდა წარმოუდგენელია, თუ ჩვენ პირუტყვისათვის მარცვლეულის დიდი მარაგი არ გვექნება. მეცხოველეობის ზრდისათვის აუცილებელი პირობების შექმნა შეუძლია მხოლოდ მარცვლეულის ისეთ მეურნეობას, რომელიც იზრდება და ფართოვდება.

აი კიდევ ერთი მიზეზი მარცვლეულის მოთხოვნილების ზრდისა ჩვენს ქვეყანაში.

ასეთია, ამხანაგებო, ის მიზეზები, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე და რომლებიც გვისახავენ გადაუდებელ ამოცანას—მარცვლეულის ყოველწლიური მოყვანა უახლოეს მომავალში შვიდ-რვა მილიარდ ფუთამდე ავიყვანოთ.

შეგვიძლიან თუ არა ამ ამოცანის შესრულება?

დიაღ, შეგვიძლიან. ამაში ეჭვს ვერ შევიტანთ.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს ამოცანა შევასრულოთ?

ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ მეურნეობის გაბატონებულ ფორმად ჩვენს მიწათმოქმედებაში იყოს არა წვრილი, არამედ მსხვილი მეურნეობა. რატომ სწორედ მსხვილი? იმიტომ, რომ მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შესწევს უნარი აითვისოს თანამედროვე ტექნიკა, მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შეწევს უნარი საკმაოდ გამოიყენოს თანამედროვე აგროტექნიკური ცოდნა, მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შესწევს უნარი სათანადოდ გამოიყენოს სასუქები. კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედების გაბატონებულ ფორმას ერთპიროვნული წვრილი მეურნეობა წარმოადგენს მსხვილი მეურნეობანი იქმნებიან მიწათმფლობელთა მცირე ჯგუფის გამდიდრებისა და გლეხთა უმრავლესობის გაჩანაგების გზით. იქ გაჩანაგებულ გლეხთა მიწები ჩვეულებრივ მდიდარ მიწათმფლობელთა ხელში გადადის, ხოლო თითონ გლეხები, შიმშილით რომ არ დაიხოცნონ, ამ მიწათმფლობელებთან მოქირავნეებად დგებიან. ჩვენ ეს გზა არასწორ და გამანადგურებელ გზად მიგვაჩნია. იგი ჩვენთვის მიუღებელია. ამიტომ ჩვენ მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობათა შექმნის სხვა გზას დავადექით. ჩვენ დავადექით წვრილ გლეხურ მეურნეობათა დიდ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანების გზას, რომლებიც მიწას კოლექტიური შრომით ამუშავებენ და მსხვილ მეურნეობის ყველა სიკეთითა და შესაძლებლობით სარგებლობენ. ეს არის კოლმეურნეობათა გზა. წარმოადგენს თუ არა ჩვენთვის ახლა მსხვილი მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა ჩვენი მიწათმოქმედების გაბატონებულ ფორმას? დიაღ წარმოადგენს. კოლმეურნეობებში ახლა ჩვენ გვყავს მთელი გლეხობის დაახლოებით ოთხმოცდაათი პროც. მაშასადამე მსხვილი მეურნეობა მიწათმოქმედებაში, საკოლმეურნეო მეურნეობა, როგორც გაბატონებული ფორმა—ჩვენ უკვე გვაქვს.

მეორე, ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს, ჩვენს მსხვილ მეურნეობებს გამოსადეგი მიწა საკმაოდ ჰქონდეთ. აქვთ თუ არა ასეთი მიწა ჩვენს კოლმეურნეობებს? დიაღ აქვთ. თქვენ იცით, რომ მეფის, მემამულეებისა და კულაკების ყველა მიწა უკვე გადაეცათ კოლმეურნეობებს. თქვენ იცით, რომ ეს მიწები უკვე სამუდამოდ განმტკიცებულია კოლმეურნეობებზე. მაშასადამე, კოლმეურნეობებს საკმაოდ აქვთ გამოსადეგი მიწები, რომ მარცვლეულის მოყვანა სრულად გაშალონ.

მესამე, ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს საკმაოდ ჰქონდეთ ტექნიკა: ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კომბაინები. თვითონ გაგვებათ, რომ მარტო ხელით შრომის დროს შორს ვერ წახვალ; მაშასადამე საჭიროა მდიდარი ტექნიკა იმისთვის, რომ კოლმეურნეობებს შეეძლოთ მარცვლეულის მოყვანის გაშლა. აქვთ თუ არა კოლმეურნეობებს ასეთი ტექნიკა? დიაღ აქვთ, და რაც დრო გაივლის, მით უფრო მეტი ექნებათ მათ ეს ტექნიკა.

დასასრულ, ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს ჰყავდეთ ადამიანები, კადრები, რომელთაც შეუძლიათ ტექნიკის გამოყენება, რომელთაც აითვისეს ეს ტექნიკა

(დასასრული მე-2 გვერდზე

ამხანაგ სტალინის სიტყვა

დასასრული

და ისწავლეს მისი დამორჩილება. ჰყავთ თუ არა კოლმეურნეობებს ასეთი ადამიანები, ასეთი კადრები? დიაღ ჰყავთ. მართალია, ისინი ჯერ ცოტანი არიან, მაგრამ მაინც არიან. ახლანდელი თათბირი,—რომელსაც საუკეთესო კომბაინერები და კომბაინერი ქალები ესწრებიან, და რომელნიც წარმოადგენს კოლმეურნეობების კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა არმიის მხოლოდ მცირე ნაწილს,—დამამტკიცებელია იმისა, რომ ასეთი კადრები კოლმეურნეობებში უკვე გაჩნდნენ. მართალია, ისინი, ეს კადრები, ჯერ კიდევ ცოტანი არიან, და ეს არის, ამხანაგებო, ჩვენი მთავარი დაბრკოლება, მაგრამ საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამ კადრების რაოდენობა ჩვენში გაიზრდება არა წლობითა და თვეობით, არამედ დღეობითა და საათობით.

ამგვარად გამოდის, რომ ჩვენ გვაქვს ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რათა უახლოეს მომავალში მივაღწიოთ ყოველწლიურად შვიდი-რვა მილიარდი ფუთი მარცვლეულის მოყვანას.

აი რატომ ვფიქრობ, რომ უეჭველად შეიძლება იმ გადაუდებელი ამოცანის შესრულება, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე.

თავიდათავი ახლა ის არის, რომ დავაწვეთ კადრებს, მოვამზადოთ კადრები, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს ტექნიკის ათვისებაში. დღითი-დღე გამოვზარდოთ ადამიანები, რომელთაც ძალუძთ აითვისონ ტექნიკა და წინ წასწიონ იგი. ეს არის ახლა თავიდათავი, ამხანაგებო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომბაინებსა და კომბაინერებს. თქვენ იცით, რომ ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას—წააგებ. კომბაინის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი. ეს ფრიად დიდი და სერიოზული საქმეა ამხანაგებო.

მაგრამ კომბაინის მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. მისი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს. თითონ იცით, რომ მოსავლის აღება სათიბ—სამკელი მანქანით (ლობოგრეიკა) მარცვლეულის დიდ დანაკარგს იძლევა – ჯერ უნდა მომკა, შემდეგ შეკრა ძნებად, შემდეგ ზვინებად, შემდეგ მოსავლის სალეწ მანქანებთან მიიტანო,—ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ დანაკარგია ყველა აღიარებს, რომ მოსავლის აღების ასეთი სისტემის დროს ჩვენ მოსავლის დაახლოებით ოცი-ოცდახუთი პროცენტი გვეკარგება. კომბაინის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ეს დანაკარგი უმნიშვნელო მინიმუმამდე დაჰყავს. საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ სათიბ-სამკელი მანქანით მოსავლის აღება, სხვა თანაბარ პირობებში, ჰექტარზე იძლევა ათი ფუთით ნაკლებ მოსავალს, ვიდრე კომბაინით აღება. თუ ას მილიონ ჰექტარ მარცვლეულის ნათესს ავიღებთ —ხოლო ჩვენში, როგორც ვიცით, იგი გაცილებით მეტია — დანაკარგი სათიბ-სამკალი მანქანით აღების დროს მილიარდ ფუთ მარცვლეულს შეადგენს. ახლა ცადეთ მოსავლის აღება კომბაინით ამ ას მილიონ ჰექტარზე. ამასთან მხედველობაში იქონიეთ, რომ კომბაინი უხეიროდ როდი მუშაობს,—და თქვენ მთელ მილიარდ ფუთ მარცვლეულს მოიგებთ. როგორც ხედავთ, პატარა ციფრი არ არის.

აი რამდენად დიდია კომბაინისა და კომბაინზე მომუშავე ადამიანთა მნიშვნელობა.

აი რატომ ვფიქრობ, რომ კომბაინის დანერგვა მიწათმოქმედებაში და კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა მრავალრიცხოვანი კადრების გამოზრდა პირველ ხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს.

აი რატომ მინდა სიტყვის დამთავრებისას გამოვთქვა სურვილი, რომ ჩვენი კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა რიცხვი იზრდებოდეს არა დღეობით, არამედ საათობით, რომ მათ ისწავლონ კომბაინის ტექნიკა, ასწავლონ თავის ამხანაგებს ეს საქმე, და ბოლოსდაბოლოს ნამდვილად გამარჯვებული გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, ძლიერი „ვაშა„, შეძახილები ადგილებიდან: „გაუმარჯოს საყვარელ სტალინს!“).

კიდევ ორიოდე სიტყვა, ამხანაგებო. ჩვენ აქ პრეზიდიუმში ჩუმად ვისაუბრეთ და ვცანით, რომ საჭიროა ამ თათბირის მონაწილეთა წარდგენა უმაღლეს ჯილდოზე, ორდენზე —კარგი მუშაობისათვის. ჩვენ ვფიქრობთ ახანაგებო, ეს საქმე უახლოეს დღეებში გავატაროთ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, „ვაშას“ ძახილი. შეძახილები: „მადლობა ამხანაგ სტალინს!“)

პროფ. ნ. მუსხელიშვილი

მეცნიერულ კადრების მომზადებისათვის

სტახანოვური მოძრაობის გაშლასთან დაკავშირებით მე შევეხები ჩვენს მუშაობას მეცნიერულ კადრების მომზადების დარგში, რომელსაც ვთვლი ჩვენი საერთო მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილად. მთავარ ყურადღებას ჩვენ ვაქცევთ შემდეგ სამ მომენტს. ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევას, მათი მუშაობისათვის შესაფერი მიმართულების მიცემას და მათში ინიციატივის და დამოუკიდებელ აზროვნების უნარიანობის განვითარებას.

სტუდენტისათვის შეუმჩნევლად, როცა ვიღებთ უფრო მკაფიო წარმოდგენას სტუდენტზე როგორც მომავალ მეცნიერულ მუშაკზე ჩვენ თანდათანობით ვაბამთ მას ჯერ ადვილ და შემდეგ უფრო რთულ მეცნიერულ მუშაობაში, რომელიც გადააცილებს სავალდებულო პროგრამას. ამნაირად, როცა ხდება უნივერსიტეტიდან გამოშვება, ჩვენ კარგად ვიცნობთ ყველას, ვინც გამოდგება როგორც მომავალი მეცნიერული მუშაკი. ასეთი შესწავლა გვაძლევს აგრეთვე საშუალებას გავიგოთ ამათუ იმ ახალგაზრდა მათემატიკოსის. მომავალი ასპირანტის გემოვნება და მიდრეკილება. ვიწრო სპეციალობის არჩევაში ჩვენ ვაძლევთ ახალგაზრდებს სრულ თავისუფლებას და მხოლოდ ვეხმარებით მათ სათანადო რჩევებით. ამით ჩვენ ვაღწევთ იმას, რომ ახალგაზრდები მუშაობენ თავ-თავიანთ დარგებში დიდი ხალისიანობით, რასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ასპირანტურის გავლის დროს, ახალგაზრდა მათემატიკოსი მუდამ იმყოფება კონტროლის ქვეშ, მაგრამ აქაც ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მივცეთ მას მუშაობის ობიექტების შერჩევაში. რა თქმა უნდა, გარკვეული პროგრამა უნდა იყოს გავლილი, მაგრამ რაც ხდება ამ პროგრამის გარეშე, ხდება თვით ასპირანტის შერჩევით, ჩვენი სათანადო დასტურით და რჩევა-დარიგებით. ამით გავუწევთ ინიციატივის და დამოუკიდებელ აზროვნების განვითარებას.

სტახანოვურად მუშაობა ჩვენს მათემატიკურ უბანზე დიდ მოვალეობას გვაკისრებს. უფრო მაღალხარისხოვანი ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში.

უნივერსიტეტის ფრიადოსანთა შეკრება

მიმდინარე წლის 4 დეკემბერს უნივერსიტეტის ფრიადოსან სტუდენტთა და მეცნიერულ მუშაკთა თათბირზე უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ორაგველიძემ თავის შინაარსიან მოხსენებაში შეკრებას გააცნო დიდი ბელადის, დიდი სტალინის სიტყვა სტახანოველთა საკავშირო თათბირზე და სტახანოველთა თათბირის შედეგები.

ამხ. ორაგველიძე დაწვრილებით შეჩერდა უნივერსიტეტის სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა შორის სტახანოვური მუშაობის ფართოდ გაშლის და დანერგვის ამოცანებზე. მან მოგვცა კონკრეტული ღონისძიებები სტახანოვური მუშაობის საქმეში.

ორაგველიძე შეჩერდა სწავლების ხარისხისა და დროის რაციონლაურად გამოყენების საკითხებზე, მან ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი სტუდენტები დღემდე სათანადო ყურადღებით არ ეპყრობიან დროის ანგარიშს.

ჩვენთან ჯერ კიდევ საკმაოდაა ისეთი სტუდენტი რომელიც დროს ფლანგავს უნაყოფოდ და უგეგმოდ. სისტემატიურად, აცდენს ლექციებს არ ამზადებს დროზე მასალას და გამოცდებზე მოდის ძირითადი ლიტერატურის წაუკითხავად, მარტოოდენ კონსპექტის გადათვალიერებით. ამასთან ერთად არის სტუდენტების ნაწილი, რომელიც სასწავლო დისციპლინებში უხეიროდ ამუშავებს კონსპექტებს და არ ზრუნავს მარქს-ენგელს-ლენინ სტალინის ნაშრომების ღრმად შესწავლისათვის. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ სტუდენტთა უმრავლესობის კულტურული მომზადება ძალიან დაბალია, ფრიადოსან სტუდენტებშიაც არიან ისეთები, რომლებიც უბრალო განცხადებასაც ვერ წერენ დაუშახინჯებლად.

აქედან ცხადია, რომ ასეთი ფრიადები მეტად ლიბერალურად იწერებოდა.

ახლა კი დრო არის გადაჭრით ბოლო მოუღოთ ასეთ მდგომარეობას და მოვახდინოთ სერიოზული გარდატეხა.

აქ მთავარია და საჭიროა დროის რაციონალურად გამოყენება, ყოველი წუთის ანგარიში. დიდი საკითხია აგრეთვე საკითხი სტუდენტების კულტურული დონის ამაღლებისა და დისციპლინის შესახებ. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ წელს მიუხედავად მნიშვნელოვან წარმატებებისა მდგომარეობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი სტუდენტი უნივერსიტეტში თუ მის გარეთ დისციპლიანიანი, თავაზიანი და კულტურული ადამიანი უნდა იყოს. ამას კი მივაღწევთ სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილად გაშლის გზით. ალმასბიურომ კი დღემდის ვერ მოახერხა შეჯიბრების ნამდვილი შემოწმება, მისი ნამდვილად გაშლა. ასევე დღემდის ნაკლებად ვზრუნავდით ფრიადოსნებზე. ჩვენი ფრიადოსნები არ ჩანდენ. ჩვენ ფრიადოსნებს არ იცნობდენ დეკანები, მათი მოადგილეები. კათედრები არ იწვევენ მათთან თათბირებს მუშაობის გაზიარებისა და დახმარების მიზნით.

ჩვენი ამოცანაა ფართოდ გავშალოთ სტახანოვურად მუშაობა სწავლების მაღალი ხარისხისათვის, დროის ანგარიშისათვის, კულტურისათვის. გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, შევისწავლოთ წარჩინებული ადამიანები, ფრიადოსნები და დავეხმაროთ მათ, ჩავაბათ სამეცნიერო წრეებში და კათედრების მუშაობაში. ამით ჩვენ ღირსეულად გადავწყვეტთ ამხ. სტალინის მიერ დასმულ ამოცანას ბოლშევიკური კადრების აღზრდის შესახებ. ორაგველიძის მოხსენების შემდგომ გაიმართა კამათი.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სასწავლო ნაწილის პრორექტორი ამხ. გ. ჯანელიძე, რომელიც დეტალურად შეეხო სტახანოვურ მუშაობის გაშლის პრაქტიკულ საკითხებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პრ. ჩახვაძემ, პრ. ახვლედიანმა, ამხ ძიძიგურმა, იოსელიანმა ი. მიქელაძემ, სტ. სანაძემ, ლობჟანიძემ და ტრაპაიძემ.

კათედრის მუშაობის გარდაქმნისათვის

სტახანოვური მოძრაობა, როგორც მასების პასუხი ბელადის ლოზუნგზე „კადრები წყვეტენ ყველაფერს“— და ყველა იმ პირობაზე, რომელიც შექმნა სოციალისტურმა მშენებლობამ მდებარე მომენტისათვის, არ შეიძლებოდა სპეციფიური ფორმით არ შეჭრილიყო უმაღლეს სასწავლებლებშიაც.

საქართვ. ისტ. კათედრამ სტახანოვურად მუშაობისათვის უკვე დასვა საკითხი იმ აკადემ. ნორმების გადასინჯვის შესახებ, რომლებიც მიცემული აქვს მას, ასე ვთქვათ, „საშეფო“ სპეციალობას—საქ. ისტორიის დარგს. სახელდობრ, კათედრა ფიქრობს—ჩვენ ეხლა იმდენად გავიზარდეთ რომ სპეციალიზაცია საქ. ისტორიაში უნდა იწყებოდეს არა მეოთხე კურსიდან, არამედ მეორე ან, ყოველ შემთხვევაში, მესამე კურსიდან. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩვენი პროდუქციის ხარისხი. შევქმნათ ისეთი კადრები, რომლებიც არა მარტო შესცვლიან ძველს, არამედ უნახავი გაქანებით წინ წასწევენ ჩვენს მეცნიერებას. შემდეგ კათედრას გადაწყვეტილი აქვს 1930 წელს შექმნას საქართვ. ისტორიის სქემა, ვრცელი, ისტორიული ხორცითა და სისხლით შემოსილი, ნამდვილად მეცნიერული კონცეპცია, რომელიც საფუძველი გახდება შემდგომი, მეთოდოლოგიურად სწორი და გაღრმავებული კვლევა-ძიებისათვის, ხოლო ორი წლის განმავლობაში შექმნას საქართველოს ისტორიის ვრცელი კურსი უნივერსიტეტისათვის. ეს მოსწავლე ახალგაზრდობას ხელში მისცემს მის ძირითად საწარმოო იარაღს და, მაშასადამე, აგრეთვე დააჩქარებს ჩვენი წარმოების ტემპებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კათედრა აგრეთვე ნიჭიერი სტუდენტების დაწინაურებას — ამ მხრივაც მან უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯი (V კურსზე უკვე შერჩეულია რამდენიმე კაცი, სხვა კურსებზე შერჩევა ამჟამად მიმდინარეობს).

დოც. ხ. ჯანაშია

სტახანოვური მოძრაობა და მეცნიერება

სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე დიდ როლს თამაშობდა საკითხი მეცნიერების შესახებ. საქმე იმაშია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელიც უდიდესი ენერგიით ხორციელდება, სტახანოვური მოძრაობის ენერგიით, უწინარეს ყოვლისა შეეჯახა ძველ ტექნიკურ ნორმებს. ეს ნორმები დამუშავებული იყო „მეცნიერულ მონაცემთა“ საფუძველზე. ამრიგად გამოდის, რომ მეცნიერული მონაცემები ან და მონაცემები მეცნიერებისა, გადაიქცა პრაქტიკის ცოცხალი ცხოვრების მუხრუჭად, თითქოს გამოდის, მეცნიერება ყოფილა ყველაზე კონსერვატული საწყისი, ჩამორჩენილობისა და რუტინის განხორციელება. მარქსს კი ის ხომ რევოლუციურ ძალად მიაჩნდა. ლენინი თხოულობდა, რომ მეცნიერება ყოფილიყო ცხოვრების ყოველ უბანში ჩანერგილი. **სტალინი** ჯერ კიდევ აგრარულ-მარქსისტთა თათბირზე ლაპარაკობდა მეცნიერების წამყვან როლზე. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ნორმებზე, რომელნიც შეეფერებიან სულ სხვა პირობებს, სხვა ტექნიკას, ტექნოლოგიური პროცესის სხვა სისწრაფეს (скоростям) და, რაც მთავარია, **საზოგადოების სულ სხვა ცოცხალ მუშათა ძალებს.** უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მუშათა კლასის სულ ახალ, ძველ პირობებისაგან ძირფესვიანად განსხვავებულ პოზიციასთან ჩვენ ქვეყანაში, სახელმწიფოში, წარმოებაში და კულტურულ ცხოვრებაში. „მეცნიერული“ ნორმები, რომლებზედაც ლაპარაკია, სრულიად არ წარმოადგენს მეცნიერულ ნორმებს, რადგანაც ისინი იძლევიან რა რეცეპტებს, ახლანდელ წარმოებებისათვის, თანამედროვე სოციალისტური მუშებისათვის, თავის ანგარიშებში ეყრდნობიან სხვა, არა თანამედროვე, არა სოციალისტურ მომენტებს. „მეცნიერების მონაცემები,—თქვა ამხანაგმა **სტალინმა** თავის შესანიშნავ სიტყვაში,—ყოველთვის შემოწმებული იყო პრაქტიკითა და ცდით. მეცნიერება, რომელმაც შეწყვიტა კავშირი პრაქტიკასთან, ცდასთან, ის რაღა მეცნიერებაა“?

თუ არ მოიპოვება ამჟამად სინამდვილეში **ახალი,** მართლაც **მეცნიერულად** დასაბუთებული ნორმები, რას ნიშნავს ეს ფაქტი? ეს ნიშნავს იმას, რომ მეცნიერული ფრონტი ჩვენში **ჩამორჩენილა,** რომ თეორია ჩვენში ვერ დასწევია პრაქტიკას, რომ მას ვერ დაუკავებია სათანადო ადგილი, რომ მეცნიერებამ უნდა მოახდინოს დიდი ნახტომი წინ, რათა გამოასწოროს მდგომარეობა. შეეხება თუ არა ეს მხოლოდ საინჟინერო მეცნიერებას, ტექნიკურ გამოყენებით „მეცნიერებას? სამწუხაროდ არა. ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში ჩვენ არც კი მოგვეპოება ჩვენ ქვეყანაში ამ უკანასკნელ ხანებში მიმდინარე უდიდესი მშენებლობის თეორიული შეჯამების ცდები. არც ისე შორს წასულა მთელი რიგი „წმინდა თეორიული დისციპლინები, რომელნიც გვევლინებიან (თუ ვილაპარაკებთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე) „საწარმოო პროცესის თეორიულ მხარედ“. განა ჩვენმა ფიზიკოსებმა თავის ნაშრომებში მიაღწიეს რეზერფორდის, ნილს ბორის, დირაკის დონეს? განა ჩვენი ქიმიკოსები არ ჩამორჩებიან გაბერს (ამ მოკლე ხანაში გარდაცვალებულს)? აქ ჩვენ სასწრაფოდ უნდა დავეწიოთ მსოფლიო დონეს. მართალია, მეცნიერების ცალკეულ დარგში ჩვენ მოგვეპოება მართლაც და მსოფლიო მიღწევები, ნამდვილი „**ახალი სიტყვები**“, მაგრამ თეორიის განვითარების საერთო ხაზი გადის მაინც გაცილებით ქვემოთ, ვიდრე ეს საჭიროა **დიადი აღმშენებლობის ეპოქის** თვალსაზრისით. სახიფათოა, ეს თუ არა? რა თქმა უნდა სახიფათოა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ წარმოების მატერიალური პროცესის დარგში მთელ რიგ წერტილებზე ჩვენ „დაწევისა“ და „გასწრების“ ულელტეხილზე ვიმყოფებით. ამიტომ ლაპარაკია ახალ კონსტრუქციებზე, ახალ ტექნოლოგიურ პროცესებზე, მსხვილ მასშტაბის ნამდვილ შემოქმედებით მუშაობაზე. განვითარების **ახალ საფეხურზე.** ცხადია მეცნიერების ჩამორჩენა ვერ **შეაჩერებს** წარმოების ძლევამოსილ სვლას, მაგრამ მას შეუძლია იგი შეანელოს. სისწრაფე შეამციროს, ტემპები შეასუსტოს. ეს კი უდიდესი ნაკლია მთლიანად ჩვენი საქმისათვის.

ამხ. **სტალინმა** თავის სიტყვაში თქვა. „...ჩვენი საინჟინერო—ტექნიკური და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც საკმაოდ ჩამორჩნენ სტახანოვურ მოძრაობას, კარგს იზამდენ, რომ დაანებებდენ თავს ძველ ტექნიკურ ნორმებს და ნამდვილად მეცნიერულად გადაბალისდებოდენ ახალ სტახანოვურ წესზე“.

აკადემიკოსმა ა. პავლოვმა (ჩვენმა ცნობილმა მეტალურგმა) თავის უახლოეს მოწაფეებთან ერთად ამხ. ორჯონიკიძისადმი მიმართულ წერილში განაცხადა რომ „სტახანოვურმა მოძრაობამ გადაატრიალა ყველა ძველი ცნება შრომის ნაყოფიერებისა და ქარხანათა აგრეგატების საწარმოო შესაძლებლობათა შესახებ“. ინჟინერთა თათბირზე ამჟამად წარმოებს გენერალური გადასინჯვა ტექნიკური ნორმების დარგში. **დროა ტემპების დაჩქარებას ხელი მოკიდონ თეორიული აზროვნების მუშაკებმაც**“.

ერთერთ კატალიზატორად, ამ პროცესის დამაჩქარებლად რამოდენიმედ გამოდგება სამეცნიერო აკადემიის ახალი წესდება, რიგი ორგანიზაციული ზომები მეცნიერული მუშაობის დარგში, მაგრამ ყველაზე მძლავრი დამაჩქარებელი არის ჩვენი დიადი ეპოქის მოწოდება, რომელმაც პოვა განხორციელება სტახანოვურ მოძრაობაში.

მუშები და მუშა ქალები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მეცნიერების მუშაკები—ესენი არიან საზოგადოებრივი შრომის მთლიანი ჯაჭვის რგოლები. რაც უფრო მჭიდროდ იქნება ეს რგოლები ერთი მეორესთან გადაბმული, რაც უფრო სწრაფად დაეწევა და გაუსწრებს მეცნიერება მატერიალური წარმოების დონეს, მით უფრო სწრაფად მოვიპოვებთ უკანასკნელ გამარჯვებას მთელ ფრონტზე, თანამედროვე მსოფლიოს ორი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული სისტემის დიად ისტორიულ შეჯიბრებაში.

„იზვესტიას“ მოწინავე

გავხდეთ სტახანოველები სწავლაში

უნივერსიტეტის ფრიადოსნები:

ზევიდან ქვევით: პ. მეტრევე-ლი. ო. ბერიძე, ა. ფაცურია დ. კვეხელავა.

დიპლომსაც ფრიადზე ჩავაბარებ

1931 წლის სექტემბრიდან დავიწყე სწავლა საფინანსო ეკ. ინსტიტუტში შემდეგ უნივერსიტეტში. 4 ნახევარი წლის მანძილზე შევისწავლე 32 ზოგადი და სპეციალური საგანი. თითოეულ საგანში დამხმარე და ძირითადი ლიტერატურის დამუშავებით ლექციის მთავარი თეზების მიხედვით ვადგენდი კონსპექტებს, დღემდის წაკითხული და დამუშავებული ყველა საგნის მთლიანი პროგრამა ჩაბარებული მაქვს 5- ზე. ამავე დროს ვეხმარებოდი ჯგუფის ჩამორჩენილ ამხანაგებს. დამუშავებული და შესწავლილი საგნებიდან ავირჩიე საბჭოთა ფულისა და კრედიტის და ს. ს. ფინანსების განხრა ამაში განსაკუთრებული დახმარება მივიღე ქოიავასა და დოც. ა. გოკიელისაგან. არ მქონია შემთხვევა უმიზეზოდ გამეცდინა ლექციები, არც რაიმე გაფრთხილება მიმიღია დისციპლინის დარღვევისთვის.

აკადემიურ სწავლასთან მტკიცედ ვათავსებდი საზოგადოებრივ მუშაობას. სასწავლებელში შემოსვლიდან დღემდის ვიყავი პრპაგანდისტი კომკავშირის უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი და პროფორგანიზაციაში პ/მგებელი მომუშავე. ა/წ მაისში მივიღე სადიპლომო შრომისათვის თემა. საწარმოო პრაქტიკის დროს ვაგროვებდი მასალებს და ვამუშავებდი ლიტერატურას, ხოლო ა/წ სასწავლო პროცესში პრაქტიკულად შევუდექი წერას. ვარ მიმაგრებული დოც. სოლომონიასთან, რომლისაგანაც მივიღე დახმარება. ამჟამად გადავეცი თემა გასარჩევად და დასკვნისათვის. სტახანოვურად მუშაობა ბევრ რამეს გვავალებს. უნდა მოხდეს არსებითი გარდაქმნა ჩვენს მუშაობაში, საჭიროა დაიმსხვრეს სწავლების სფეროში დღემდის არსებული ნორმები.

პ. მეტრეველი

დიდი მოვალეობა

უკვე სამმა სემესტრმა განვლო, რაც ჯგუფის საგამოცდო ფურცელში ჩემი ერთად ერთი ნიშანი იყო და არის „ფრიადი.

ამავე დროს მე ყოველთვის პირნათლად ვასრულებდი ერთ ან ორ საზოგადოებრივ დატვირთვას. მესამე წელიწადია ვმუშაობ უნივერსიტეტში პროპაგანდისტად. სწავლისა და საზ.-პოლიტიკური მუშაობის ფრიადოსნობისათვის ორჯერ ვარ დაწინაურებული.

ჩემი მეთოდი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლაში შემდეგია:

ყველა ძირითად დისციპლინაში ვაწარმოებ ლექციების ჩაწერას, მაგრამ იგი არასოდეს არ გადამიქცევია ძირითად მასალად თემის დამუშავებისათვის. დასაყრდენს თემის დამუშავებაში მაინც წარმოადგენს ლიტერატურის მაქსიმუმის გამოყენება. როგორ ვმუშაობ მარქსიზმის კლასიკოსებზე? თემის გარშემო დასახელებულ ლიტერატურას (კლასიკოსების ნაწერებს) ვამუშავებ და ვსწავლობ დეტალურად. ვინიშნავ დებულებას, არგუმენტანციასა და დასკვნებს რვეულში ან სპეციალურ ფურცლებზე. ვინიშნავ სათანადო ადგილებს, ვუკეთებ სათანადო შენიშვნებსა და სხვ.

სწავლებაში სტახანოვურად მუშაობისათვის ძვირფასია ყოველი წუთი, დროის რაციონალიზაცია. თავგამოდებით ვმუშაობ დროის სიმჭიდროვისათვის — თითოეული წამი გამოყენებული მაქვს გეგმიანად.

სისტემატურად ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს, შეძენილი მაქვს რუსთაველის სახელობის თეატრის აბონემენტი. 6-დღიურში ერთხელ ვესწრები კინო-თეატრს.

ეს და მსგავსი საქმიანობა რეალური წინა პირობაა სწავლებაში სტახანოვური მუშაობისათვის.

უდაოა, რომ მეცადინეობის დაუფლებისათვის რუსული ენის ცოდნა აუცილებელია, ხოლო მისი შესწავლა ერთი დაკვრით არ შეიძლება. ამაში დარწმუნებულმა უნივერსიტეტის შემოსვლიდანვე მტკიცეთ მოვკიდე ხელი ამ საქმეს. ხშირად მთელ დღეებს ვკითხულობდი რუსულსა და ქართულად რუსულზე თარგმნილ სტატიებს. ამას ფუჭად არ ჩაუვლია. მეორე კურსის მეორე სემესტრში რუსულ ენაში მივიღე ფრიადი. დღეს შედარებით თავისუფლად ვსარგებლობ საჭირო რუსული ლიტერატურით. ამავე წესით ვმუშაობ გერმანული ენის დაუფლებისათვის.

სწავლების მთელ მანძილზე სისტემატურად ვუწევ დახმარებას ჩამორჩენილ ამხანაგებს.

ის მზრუნველობა მოწინავე ადამიანებისადმი, რომელსაც პარტია და ჩვენი ბელადი **სტალინი** იჩენს, ავალებს თითოეულ ჩვენგანს გაორკეცებული ენერგიით ვიბრძოლოთ სტახანოვური სწავლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის.

ვალერიან მელქაძე

ეკ. ფაკ. მე-4 კურსის სტუდენტი

როგორ მოვიპოვე ფრიადოსანის სახელი

ამჟამად ვირიცხები ფილოსოფიური სექციის მე-5 კურსზე. ყველა საგანი „ფრიადზე“ მაქვს ჩაბარებული.

დიდ ყურადღებას ვაქცევ სამეცნიერო წრეში მუშაობას. დღემდის წრის საჯარო სხდომებზე, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ, წაკითხული მაქვს 8 მეცნიერული პოპულარული ხასიათის მოხსენება. ამდენივე ანტირელიგიური ხასიათის საკითხი დავამუშავე სასწავლებლებში და მუშათა წრეებში.

აკადემიური და საზ.-პოლიტიკური მუშაობისათვის დღემდის რამდენიმეჯერ ვარ დაჯილდოებული.

ვკითხულობ როგორც სპეციალურს, ისე სხვა სახის ლიტერატურას.

სემინარებზე, კონსულტაციებზე ყოველთვის მომზადებული გამოვდივარ, რაც საშუალებას მაძლევს ამა თუ იმ საგნის ღრმად დაუფლებისათვის.

სტახანოვური მუშაობა უფრო მეტს მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა ის გულისხმობს ისეთ მოქმედებას, როდესაც ხალისიანი შრომით ადამიანები მიღებულ ნორმებს არღვევენ. ჩვენ გვაქვს პირობები საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალურად განვითარებისათვის, მაგრამ ამას ნაკლებად ვიყენებთ. მე შემიძლია ვთქვა, რომ როგორც აკადემიურად ისე პოლიტიკურად და კულტურულად ვიზრდები დღითიდღე. ვადარებდი ჩემ თავს სხვას და ამით ვკმაყოფილდები, რაც ნაკლად უნდა ჩამეთვალოს. სტახანოვური მეთოდი, რომელიც ამხ. სტალინის დახასიათებით სოციალისტური შრომის ფორმების ყველაზე უფრო მაღალი სახეა, მარწმუნებს იმაში, რომ ეს ზრდა შემიძლია გავაორკეცო და მივაღწიო უფრო მეტ წარმატებებს.

ამხ. გ. გამსახურდია

გრ. გამსახურდია

პროფ. ა. ხარაძე.

სწავლების მაღალი ხარისხისათვის

სტახანოვური მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ ის ქვევიდან მომდინარეობს, როგორც მასიური გამოძახილი ამხ. სტალინის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგის—„კადრები წყვეტენ ყველაფერს“—საპასუხოდ.

საჭიროა გავიხსენოთ თვით სტახანოვის, ბუსიგინის, კრივონოსის და სხვების სიტყვები, წარმოთქმული საკავშირო თათბირზე, სადაც ისინი მეტად სადად, და მარტივად აღწერენ შრომის არა ჩვეულებრივი ნაყოფიერების ხელშემწყობ ფაქტორებს.

მთავარი აქ არის თვით შრომის პროცესის ღრმა ანალიზი, საწარმოო იარაღების შესწავლა, ძალების წესიერი განლაგება.

ავიღოთ ეხლა მაგალითისათვის რომელიმე მოწინავე, ფრიადოსანი სტუდენტი, რომელიც ვთქვათ მოწადინებულია და უნარიც აქვს გამოამჟღავნოს შრომის სარეკორდო ნაყოფიერება თავისი სპეციალური საგნების ღრმა შესწავლით, საერთო კულტურული შეიარაღებით, აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით, ცოცხალი შემოქმედებითი ნიჭით და საღი კრიტიკული კვლევის უნარით. ასეთი სტუდენტი უპირველესად ყოვლისა აიღებს თავის სასწავლო გეგმას და მას ყურადღებით განიხილავს, აღნუსხავს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც მას ეკისრება უნივერსიტეტში, მერე თვალს გადაავლებს თავის საწარმოო იარაღებს: წიგნებს, სახელმძღვანელოებს, რაც კი მას გააჩნია, შემდეგ შეეცდება ყველა ამის მიხედვით დაგეგმოს თავისი შრომა და დრო. ჩემთვის სრულიად აშკარაა, რომ ასეთი კეთილი სურვილები ვერ იქნება დაკმაყოფილებული, თუ სტუდენტს საშუალება არ მიეცა განტვირთოს თავი იმ აურება სავალდებულო საათებისაგან, რომელიც მან მაინცდამაინც უნდა გაატაროს აუდიტორიაში.

პირველ კურსზე სტუდენტი უნდა შევაჩვიოთ მუშაობის ახალ სტილს, რომლითაც უნივერსიტეტი განსხვავდება საშუალო სკოლიდან; აქ შეიძლება ოთხიოდე საათი სავალდებულოც გავხადოთ მისთვის: სანამ ის გემოვნებას გაუგებს დამოუკიდებელ მუშაობას, „ზედმეტი არ იქნება ის ვალდებული იყოს იჯდეს აუდიტორიაში და მუშაობას შეეჩვიოს. უფროსი კურსის სტუდენტი კი, რომელსაც პასუხისმგებლობა შეგნებული აქვს, რა თქმა უნდა, უფრო ნაყოფიერად იმუშავებს, თუ მას თავისუფლად შეეძლება დაგეგმოს დრო ისე, როგორც მას ესაჭიროება. სტუდენტი, რომელიც თავის განვითარებაზე და საერთოდ კულტურულ შეიარაღებაზე ფიქრობს, ხშირად არჩევს დაესწროს რომელიმე მოხსენებას, დისპუტს, კონცერტს და სხვას ასეთს, ვიდრე ისეთ სავალდებულო სამუშაოს დაესწროს აუდიტორიაში, რომელიც მისთვის მხოლოდ ძვირფასი დროის დაკარგვას ნიშნავს.

ვთქვათ დრო გამოუნახეთ სტუდენტს, ამის შემდეგ მას ჭირდება მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს აუცილებლად ორი-სამი წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა უნდა შესძლოს ყველა საგანში უზრუნველყოს სტუდენტობა ორიგინალური ან თარგმნილი სახელმძღვანელოებით. უნდა გამოიყოს კვალიფიციური საავტორო კოლექტივი, შეიძლება მათ ორი-სამითვის შეღავათებაც მიეცეს ზოგიერთ შემთხვევაში, იმ პირობით რომ განსაზღვრული ვადისათვის ხელნაწერი წარმოდგენილი იყოს დასაბეჭდათ. მე ვფიქრობ, რომ როდესაც ჩვენ უზრუნველვყოფთ სტუდენტობას მაღალხარისხოვანი ლიტერატურით, რომელიც მართლაც თანამედროვე მეცნიერული სულით და შინაარსით იქნება გაჟღენთილი, ამას უთუოდ თან მოჰყვება თვით სასწავლო გეგმის შეცვლაც და ლექციების ხარისხის ამაღლებაც.

მართლაც, როგორია ხშირად ჩვენი ლექცია იმ საგანში, რომელშიაც სახელმძღვანელო არ მოიპოვება. მასწავლებელი ცდილობს სალექციო მასალაში თავიდან ბოლომდე ამოსწუროს ის, სავალდებულო მინიმუმი, რომელიც გამოცდაზე უნდა ჩააბაროს სტუდენტმა. მასწავლებელი იძულებულია აიღოს ხელში პროგრამა და „ალფადან ომეგამდე“ სექტემბრიდან მაისამდე იკითხოს, სანამ სულ არ წაიკითხავს. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში მასწავლებელი სრულიად სამართლიანად მოითხოვს საათების საკმაო რაოდენობას. ამით სასწავლო გეგმა ზედმეტად იტვირთება და თვით ლექციასაც ეკარგება ის დანიშნულება, რომელიც მას უნდა ქონდეს— ლექცია მეცნიერის ხელში არის იარაღი თავისი მეცნიერული ინდივიდუალობის გამოსამჟღავნებლად, ძირითადი საკვანძო საკითხების ინტერპრეტაციისათვის, სამეცნიერო მეთოდის მკაფიოდ გამოვლინებისათვის, ამისათვის კი მეცნიერს სრულიადაც არ ჭირდება საათების ასტრონომიული რიცხვი. თუ კი კარგი სახელმძღვანელოთი სტუდენტი მომარაგებულია, რა თქმა უნდა, ბევრი ოთხსაათიანი ან ექვსსაათიანი საგანი შეიძლება ორ საათამდე დავიყვანოთ ექვსდღიურში, მაგრამ ეს ორი საათი, მართლაც მიმზიდველი იქნება სტუდენტისათვის, ის მასწავლებლისაგან ისეთ ცოცხალ და შინაარსიან სიტყვას გაიგონებს, რაც სახელმძღვანელოს ბუნებრივ დამატებას და განმარტებას წარმოადგენს და არა უბრალო „კითხვას“.

კიდევ ერთი შენიშვნა. სასწავლო პროცესის გასაჯანსაღებლად და საერთოდ უმაღლეს სკოლაში მუშაობის ახალი სტილის შესაქმნელად, მეტად სასარგებლო იქნება ჩვენი დროის ტექნიკური პროგრესი საგრძნობი შეიქნეს სტუდენტისა და მასწავლებლის ყოველდღიურ მუშაობაში. მე მხედველობაში მაქვს კინოფიკაცია და რადიოფიკაცია.

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სანიმუშო აუდიტორიები, სადაც კინოსი, რადიოსი და ოპტიკური ტექნიკის თამამი და ფართო გამოყენებით, მართლაც ახალს, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ სწავლებას.



უნივერსიტეტის ფრიადოსნები:

ი. მელაძე. გ. კომლაძე, მ. კვეხელავა, დ. ადამია

ჩემი ვალდებულებანი

პირველ კურსზე ჯერ კიდევ არ მქონდა გამომუშავებული ნაყოფიერი მუშაობის მეთოდები. საკმაოდ დიდ დროს ვანდომებდი ლექციებზე ჩანაწერების გადათეთრებას (თუმცა ძირითად საგნებში მაინც წიგნზე ვმუშაობდი). ამიტომ ჩემი მუშაობა არ იყო იმდენად ეფექტური ნაკლები დრო მრჩებოდა მხატვრული ლიტერატურის კითხვისათვის, კულტურული გართობა-დასვენებისათვის, პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის.

მეორე კურსზე გავხდი ფრიადოსანი როგორც აკადემიურად, ისე პოლიტსწავლებაში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა გასაკეთებელი. მე-3 კურსზედაც განვაგრძობ მუშაობას მიღწეული წარმატების შესანარჩუნებლად და მის ხარისხობრივად გასამტკიცებლად. წელს ახალი ჩემს მუშაობაში ის არის, რომ შევიმუშავე დროის ბიუჯეტი, რომელსაც ზუსტად ვიცავ. ვცდილობ ვიყო ფრიადოსანი არა მარტო აკადემიურად, არამედ პოლიტიკურად და კულტურულადაც (ვარ საზოგადოებრივ. დატვირთული, ვიყავი ჯგუფხელი, ვარ აგიტატორი).

სტახანოვური მოძრაობის გაძლიერებამ ჩვენ ახალი ამოცანები დაგვისახა. იყო სტახანოველი ნიშნავს იმას, რომ მიაღწიო შრომის ნაყოფიერების უმაღლეს დონეს, სავსებით აითვისო მუშაობის ტექნიკა, დაანგრიო ძველი ნორმები. ამ დონემდის მისასვლელად ბევრი რამ მაკლია. უნდა გავხდე სტახანოველი. ამისათვის ვფიქრობ უფრო რაციონალურად გამოვიყენო დრო, წინასწარ მოვიმარაგო საჭირო ლიტერატურა, დავარღვიო საპროგრამო ნორმები, ვისწავლო, კონსპექტით რაც შეიძლება მოკლედ და შინაარსიანად, ვიკითხო პროგრამის გარეშე ლიტერატურა, შევისწავლო ერთი უცხო ენა (გერმანული), შევისწავლო მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსები.

ნადია მელიქიშვილი

საზეიმო სხდომა უნივერსიტეტში

5 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ამხანაგ **კარლო ორაგველიძის** თავმჯდომარეობით კლუბში შედგა სტუდენტთა, პროფესორთა და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის საზეიმო სხდომა მიძღვნილი ჩვენი მოძმე რესპუბლიკის—საბჭოთა სომხეთის 15 წლის თავის აღსანიშნავად. სხდომას დაესწრო სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებიც.

სხდომის საპატიო და საქმიან პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, საბჭოთა სომხეთის მიერ 15 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებების შესახებ სხდომაზე ვრცელი შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში, ამხ. **გრ. ჯანელიძე**. დამსწრეთა წინაშე ამხ. ჯანელიძემ დაწვრილებით გადაშალა სომხეთის უდიდესი მიღწევები მეცნიერულ-კულტურულ, ეკონომიურ ფრონტზე, სოფლისა და მრეწველობის დარგებში, რაც შედეგია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებით, საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის და მისი საუკეთესო მოწაფის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მტკიცე და შეუდრეკელ ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** ყოველდღიური ხელმძღვანელობით, დახმარებით და სომხეთის მშრომელებისადმი უდიდესი მზრუნველობით.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფ. **მუსხელიშვილი**, პროფ. **გ. ნათაძე**, პროფ. **ა. შანიძე**, პროფ. **მელიქსეთბეგი**, დოც. **ი. აბულაძე** (რომელმაც ილაპარაკა სომხურად) და სტუდენტები: მ. კვესელავა და შ. კალანდარაშვილი.

სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურის მისალმება

სომხეთის სსრ ცაკის თავმჯდომარეს—
ამხ. მარტიკიანს
სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
ამხ. გულოიანს
სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ. მდივანს
ამხ. ხანჯიანს

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა მხურვალე სალამს გიძღვნით სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე.

15 წლის წინათ ბოლო მოეღო სომეხი მშრომელი ხალხის ფიზიკური მოსპობის, აბუჩადგების, ყოველმხრივი დამონების სისხლიან პოლიტიკას. განუწყვეტელი ომები, ნაციონალური ხოცვაჟლეტა, მშრომელთა შიმშილობისა და გადაშენების ორგანიზაცია—აი რა შეადგენდა დაშნაკთა, ქართველ მენშევიკთა და აზერბეიჯანელ მუსავატელთა სამარცხვინო საქმიანობის შინაარს. მსოფლიო იმპერიალიზმის ამ აგენტებისა და მშრომელი ხალხის მტრების ბატონობის დროს ამიერ-კავკასია ერთაშორის სისხლიანი შეხლაშემოხლისა და ომების ასპარეზად იქცა.

ოქტომბერმა ამიერ-კავკასიაში ძირფესვიანად შესცვალა ისტორიის სისხლიანი მსვლელობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სომხეთის მშრომელთა ხალხმა ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთან თანამშრომლობის საფუძველზე დაიწყო თავისი თავისუფალი არსებობის ნამდვილი ისტორია. ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სომხეთი აყვავებულ, სიხარულით აღსავსე ქვეყნად იქცა. სამეურნეო მშენებლობაში მიღწეულმა უდიდესმა წარმატებებმა გამოიწვიეს სომეხი ხალხის მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მძლავრი გაფურჩქვნა. სომხეთის ბოლშევიკებმა, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებით, შესძლეს შეემჭიდროვებინათ თავის ირგვლივ სომეხი მშრომელი ინტელიგენციის ყველა საუკეთესო ძალა, რევოლუციამ მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიჭიერ მუშაკთა ახალი კადრები გამოზარდა.

საბჭოთა სომხეთს ეს კოლოსალური მიღწევები აქვს ბოლშევიკების პარტიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის წყალობით.

საბჭოთა სომხეთმა, უკანასკნელ წლებში მშენებლობის ყველა ფრონტზე გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და მისი მეთაურის მტკიცე ბოლშევიკის ამხ. ლავრენტი ბერიას და სომხეთის კ. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის და მისი მეთაურის—ამხ. ხანჯიანის ხელმძღვანელობით.

დაუზოგავად ისპობა სამარცხვინო წარსულის ყველა ნაშთი — ზოოლოგიური შოვინიზმი, ნაციონალისტური ვნებათა ღელვება, სომეხ და ქართველ ხალხთა და მათი ინტელიგენციის დაპირისპირება. ამიერ-კავკასიის ხალხთა ნამდვილმა ინტერნაციონალურმა თანამშრომლობამ მხოლოდ-ღა მოგონებად გადააქცია წარსულის სამარცხვინო შოვინიზმი. ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია, მეცნიერების, ტექნიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები სომხეთის საბჭოთა ინტელიგენციასთან ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მოწყობილია სომხეთის ისტორიის, ლიტერატურისა და ენის კათედრა. მთელი ჩვენი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სომხის მშრომელ ინტელიგენციასთან ძმური კავშირის განმტკიცების მიზნით, ჩვენ ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ჩვენ მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ სომხეთის მეცნიერ მუშაკებთან ერთად, კიდევ უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებთ სოციალისტური მეცნიერებისა და ჩვენი დიადი სამშობლოს ასაყვავებლად.

გაუმარჯოს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას და დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის სამხარეო კომიტეტს და მის ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

პროფ. ხარაძე, პროფ. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. ა. შანიძე, პროფ. გ. ნიორაძე, პროფ. კ. ორაგველიძე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, პროფ. მელიქსედბეგი, პროფ. შ. ცინცაძე, პროფ. ი. სურგულაძე, დოც. გ. ჯანელიძე, პროფ. კ. ბაქრაძე, პროფ. ზ. ჩახვაძე, პროფ. გ. თავზარაშვილი, პროფ. ვლად. კალანდაძე, პროფ. დ. დოლიძე, პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. ს. დანელია, დოც. ს. გეგენავა, დოც. შ. რამიშვილი, დოც. ნ. მახარაძე, დოც. ს. ჯანაშია, დოც. ბ. ბუაჩიძე, დოც. კ. ანდრიაძე, დოც. ი. აბულაძე, პროფ. კ. მეგრელიძე, დოც. ა. ბრეგაძე, დოც. კ. კაპანელი, დოც. ი. ყიფშიძე, დოც. პ. გუგუშვილი.

პროფესორის წერილი სტუდენტს

ამხ. სტუდენტო! ხომ დაინახე, რომ მშრომელი მასების ცხოვრება გაუმჯობესდა და სამური შეიქნა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში? ხომ ისიც დაინახე, რომ მრავალი სხვა მიღწევების მეოხებით შრომის სასწაულებრივი ნაყოფიერება ფაქტია? იმასაც შეამჩნევდი, რომ ზოგიერთი შენი ამხანაგი (შენი თუ სხვა ჯგუფისა) აორკეცებს და ათკეცებს თავის გონებრივ და კულტურულ ზრდას ამ გაუმჯობესებული პირობების საშუალებით, დღითი-დღე ამაღლებს თავის წარმატებას—მეცნიერების დაუფლების სურვილით გამსჭვალული, რითაც იგი უკვე უახლოვდება სტახანოვურ მუშაობას. რას ფიქრობ შენ? დაჯექი და მოიფიქრე თუ არა, როგორ გაანაწილო შენი დროის ბიუჯეტი, ე. ი. იფიქრე თუ არა შენი მუშაობის რაციონალიზაციაზე? თუ აქამდის ეს არ გიქნია, არ დააყოვნო, თორემ ჩამორჩები; გაამახვილე და დაჰიმე შენი ყურადღება იმდენად, რომ პროფესორის არც ერთი აზრი არ გამოგეპაროს, როცა ლექციას უსმენ, გიპყრია თუ არა ხელში ფანქარი, რომ მოკლედ, გაკვრით ჩაინიშნო მოსმენილიდან მნიშვნელოვანი ადგილები? როცა შინ მიხვედი (იმ დღესვე!) ჩაუფიქრდი და გაამთლიანე თუ არა ეს ჩანაწერები ლიტერატურის წაკითხვით, შეადარე თუ არა შენი ამხანაგების ჩანაწერები და სხვა რითაც შენ უკვე მოემზადე შემდეგი ლექციის მოსასმენად, ურომლისოდაც შეუძლებელია შენი წინსვლა? **კერძოდ**: შენ ხომ იცი, რომ მხოლოდ ერთი ენის ცოდნა საკმარისი არაა მეცნიერების დასაუფლებლად, მაღალ წარმატების მისაღწევად? რომელია ის მეორე ენა, თუ არა **რუსული**, რომლის ცოდნაც შენთვის აუცილებელია ყოველგვარად? იცი თუ არა, რომ შენი ამხანაგები რუსეთში უკვე კარგა ხანია იბრძვიან ევროპულ ენების (ერთის მაინც!) შესწავლისათვის? შენ კი წუწუნებ—რუსული არ ვიციო. წუწუნი უკვე ჩამორჩენილობის დაღია. წუწუნში არავინ არაფერს არ იძლევა გარდა დაცინვისა... ამზადებ თუ არა კეთილსინდისიერად იმ მასალას, რასაც მასწავლებელი გაძლევს? რამდენ დროს ანდომებ **ყოველდღიურად** (უეჭველად!) რუსულს? რამდენ სიტყვას სწავლობ **ყოველდღიურად** გარდა იმ მასალისა, რასაც მასწავლებელი გაძლევს? სარგებლობ თუ არა მასწავლებლის დახმარებით გარეშე სალექციო საათებისა? დაისწავლე თუ არა რამდენიმე ლექსი რუსულად? ცდილობ თუ არა ელაპარაკო რუსულად ამხანაგებს (რუსულის მცოდნეს უმჯობესია, მაგრამ შენსავით მცოდნესაც კი)? დაეკითხე თუ არა შენს წარმატებულ ამხანაგებს, როგორ მიაღწიეს მათ რუსული ცოდნას იმავე პირობებში, თუ არა აჭაიკითხო გულდასმით როგორშიც შენა ხარ? ცდილობ რუსული წიგნები, განსაკუთრებით შენს სპეციალობაში?—თუ ეს არ გიქნია, ნუ დააყოვნებ, დღესვე შეუდექი საქმეს: გაიჩინე საგანგებო რვეული რუსულისათვის და აღნუსხე შენი ყოველდღიური მონაპოვარი, **გაიმეორე ხშირად, ყოველ-დღე**. შეაჯამე და გამოცადე თავი (ამხანაგის დახმარებით) ყოველ თვის ბოლოს.

უკვირდები თუ არა, რომ შენი მასწავლებელი საგანგებო ხერხებს (მეთოდებს) მიმართავს, რათა დააჩქაროს შენს მიერ რუსული ენის შესწავლა? თუ აქამდის არ დაკვირვებიხარ, დაუკვირდი ყურადღებით და ჩაიბეჭდე გონებაში ეს ხერხები. გაუზიარე შენ ამხანაგს შენი დაკვირვებები და გაიზიარე მისგანაც...

ამხ. სტუდენტო! იცოდე, რომ არ ვარგიხარ **სტუდენტად** ურუსულოდ. მეორე მხრით; თუ რუსულს რიგიანად დაეუფლები, ეს გაგიუმჯობესებს ენის კულტურას საერთოდ, კერძოდ შენი მშობლიურისასაც და გაგიადვილებს კიდევ ევროპული ენის შესწავლასაც...

იცოდე მტკიცედ: არა თუ მაქსიმუმ ლიტერატურას ვერ დასძლევ შენს საგანში ურუსულოდ, არამედ მინიმუმსაც ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ასეთი ქართულად არ მოიპოება ჯერჯერობით: [illegible] მიერ მოსმენილი ლექციების ჩანაწერთა გამთლიანება და გააზრიანება მხოლოდ **აუცილებელი საფეხურია** მინიმუმ ლიტერატურის დასაძლევადაც კი... ჩაინიშნე შენს რვეულში, თუ რას გირჩევ რუსულის დასაძლევად. **ისწავლე რუსული** ეს არაა ისე ძნელი. **იმუშავე სტახანოვურად, შეამცირე ყოველდღიურად თანდათანობით ის მანძილი, რომელიც გყოფს შენ სტახანოვურ მუშაობისაგან რათა გახდე ყოველმხრივ მეცნიერებას დაუფლებული ადამიანი.**

გ. ახვლედიანი

მომზადებული შევხვდეთ საგამოცდო სესიებს

გასულ წელთან შედარებით მიმდინარე სესიებს სახ. უნივერსიტეტი უფრო გეგმიანად და მომზადებულად ჰხვდება. საზამთრო სესიების ნორმალურად ჩატარების მიზნით სახ. უნივერსიტეტის რექტორატის მიერ დროულად იქნა შემუშავებული და დამტკიცებული სესიების ვადა და ცალკე ფაკულტეტების მიხედვით სასესიო და არასასესიო საგნები. სესიების ჩატარების ეს გეგმა დაეგზავნა ფაკულტეტებს, რის საფუძველზე მათ უნდა გაეშალათ სესიებისათვის სამზადისი. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა.

შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ფაკულტეტების მიერ ეს მოსამზადებელი მუშაობა ფართოდაა გაშლილი (მათემატიკის, სამართლის, ეკონომიური და სხვა). მოწვეულ იქნა საწარმოო ხასიათის თათბირები სადაც დამუშავდა სესიებისათვის მზადების საკითხი, სასესიო და არასასესიოდ გამოყოფილი საგნები დამუშავებულია ძირითადად ჯგუფებში და დაყვანილია სტუდენტებამდის. მთელ რიგ ჯგუფებში სუსტ სტუდენტებზე მიმაგრებულია ძლიერები დანიშნულია დამატებითი კონსულტაციები ჩამორჩენილთათვის (სამართლის ფაკ.) და სხვა.

მაგრამ ჯერ კიდევ ზოგიერთი ფაკულტეტის სამზადისი არ არის დამაკმაყოფილებელი (ლიტერატურის, ისტორიისა და სხვ.)

საწარმოო თათბირმა, რომლებიც ჩატარდა ფაკულტეტების მასშტაბით გამოარკვია, რომ მთელ რიგ საგნებში პროგრამები ვერ სრულდება. გაცდენილია როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მიერ დიდი რაოდენობით სასწავლო საათები (ეკონომიური, ბიოლოგიური).

საწარმოო თათბირებზე გამოირკვა, რომ მთელ რიგი მასწავლებლების პირადი დაუდევრობით ჩაშლილია საგნების პროგრამის ამოწურვა (გოგეიშვილი დავითი და სხვა).

ზოგიერთ ჯგუფებში ჯერ კიდევ ფართოდ არ გაშლილა სესიებისათვის სამზადისი. ჯგუფამდის არ არის დაყვანილი სასესიო და არასასესიო საგნები (135, 144, 145 ჯგ. და სხვ.).

სესიების დაწყებამდის ცოტა დრო დარჩა. დარჩენილი დრო ზუსტად და გეგმიანად უნდა იქნეს გამოყენებული.

საჭიროა ფაკულტეტებმა ყოველგვარი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ გაცდენილი საათები აღდგენილ იქნეს და მიღწეული პროგრამებით გათვალისწინებული მასალები სრულიად ამოწუროს.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მიმდინარე სესიები ჩავატაროთ ყოველგვარი დეფექტების გარეშე.

ს

როდის მოვა ლექტორი?

ეკონომიური ფაკულტეტის სავაჭრო სექციის მე-4 კურსის 51 ჯგუფს ეკითხება საგანი, „ვაჭრობის ორგანიზაცია და ტექნიკა.“ ნამდვილად კი საგანი მხოლოდ ცხრილში მარტო შეტანილი. ფაქტიურად სემესტრის მანძილზე წაკითხული იქნა მხოლოდ ორჯერ ორ-ორ საათიანი ლექცია, მაშინ როდესაც ამ საგანს დეკადაში დათმობილი აქვს **ოთხი** საათი.

ამ საგნის ლექციების მთელი პასუხისმგებლობა ლექტორ **დავით გოგეშვილს** ეკისრება. **გოგეშვილი** სისტემატიურად არ დადიოდა ლექციებზე, ფაკულტეტის დეკანატმა უკანასკნელი წინადადება მისცა გაფრთხილებით. ლექტორ გოგეშვილმა დეკანატს დაპირება აღუთქვა, რომ იგი სისტემატიურად წაიკითხავდა აღნიშნულ საგნის კურსს. მაგრამ მას შემდეგ რამდენიმე დეკადა გავიდა და ლექტორი გოგეშვილი არ ჩანს. ხმებია, რომ ლექტორ გოგეშვილის მაგიერ დანიშნულია ლექტორი აბულაძეო. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ჩანს. სემესტრი თავდება საგანი უნდა ჩაებარებიათ და დღემდე ლექციები არ წაკითხულა.

ილია ზურაბიშვილი

ჩამორჩენილებთან მუშაობა გაძლიერდა

სამართლის ფაკულტეტის სახელმწიფო ფორმების და სამართლის სისტემების ისტორიის კათედრამ (გამგე პროფ. ი. სურგულაძე) დროულად გაშალა მუშაობა პირველ სემესტრისათვის შედგენილი სამუშაო კალენდარული გეგმის საფუძველზე. ჩატარდა კათედრის სხდომები. სხდომებზე განხილულ იქნა საგნის პროგრამის შესრულების მიმდინარეობა და სტუდენტთა შეთვისების ხარისხი. დასახულ იქნა კონკრეტული გეგმა სუსტ სტუდენტების გამოსწორების მიზნით.

ფრიადოსანი სტუდენტი შურა მენაბდე

კათედრის გამგის უშუალო მონაწილეობით 136 და 137 ჯგუფებში გაიშალა საზოგადოებრივი ბუქსირი. საუკეთესო სტუდენტები ნიჟარაძე ეფრემ, ნერგაძე დიომიდე, პატარაია იონა, მჭედლიძე იოსებ, მიმაგრებული იქნენ სუსტ სტუდენტებზე.

კათედრამ სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია ამავე ფაკულტეტის საბჭოთა აღმშენებლობის კათედრა და ისტორიულ ფაკულტეტს ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა.

დ. მეტრეველი

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

ჩამოთვლილი საბუთები ჩ. ბ.

— პროფკავშირის წიგნაკი და პასპორტი № 150346 პროფ. ი. აბულაძეს სახელზე.

— პროფკავშირის წიგნაკი ოლიმპიად ქუთათელაძის სახელზე

— პასპორტი ბ. გვაზავას სახელზე.

— პასპორტი ნინო ბახტაძის სახელზ № 140472

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია

მთავლიტის რწმუნებული № დ-54